# სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს N21/6866; 11.11.2022 წერილში მოცემულ შენიშვნებზე პასუხის ცხრილი

| N | კომენტარი | პასუხი |
|---|---|---|
| 1 | თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გამწმენდი ნაგებობის მოწყობა შედგება რამდენიმე ძირითადი კომპონენტისგან და მოიცავს, მათ შორის, ჩამდინარე წყლის არსებული გამწმენდი ნაგებობის დაშლა/დანგრევას და ნარჩენების გატანას. დაზუსტებას საჭიროებს არსებულ გამწმენდ ნაგებობებთან, მათ შორის, ნაგებობების მდებარეობასა და დემონტაჟთან დაკავშირებული საკითხები, რაც ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს პროექტის ნარჩენების მართვის გეგმაში; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშში 3.8.1 ცხრილი.<br>პროექტი ითვალისწინებს მხოლოდ საკანალიზაციო ქსელის და ჭების დემონტაჟს,რომელიც გათვალსწინებულია როგორც გზშ-ის ანგარიშის 3.2.1 და 3.6. თავებში,ისე ნარჩენების მართვის გეგმაში, რაც შეეხება არსებული გამწმენდის დემონტაჟს, 3.8.1 ცხრილში მოცემული იყო უზუსტობა,რაც დაკორექტირდა. |
| 2 | გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ინფორმაცია იმ კონსულტანტის იურიდიული მისამართის შესახებ, რომელიც მონაწილეობდა გზშ-ის ანგარიშის მომზადებაში. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გზშ-ის ანგარიში მომზადებულია არასამთავრობო ორაგანიზაცია „ეკოტონის“ მიერ, თუმცა დოკუმენტში აღნიშნული ორგანიზაციის იურიდიული მისამართის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის. ამასთან კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს კონსულტანტის მიერ (არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოტონის“ მიერ); | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის გვ. 2 |
| 3 | დოკუმენტში მითითებულია, რომ გამწმენდი ნაგებობის მოწყობისთვის გამოყოფილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკ. კოდი: 24.02.32.063.026). დოკუმენტში წარმოდგენილი გენ-გეგმების, ასევე დანართების შესწავლით დგინდება, რომ პროექტით გათვალისწინებული საქმიანობა მოიცავს აგრეთვე სხვა საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის ტექსტურ ნაწილში; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის დანართი 6.<br>გზშ-ის ანგარიშში, მე-6 დანართში, სადაც წარმოდგენილია მუნიციპალიტეტთან შეთანხმების დამადასტურებელი წერილი, შეცდომით იყო მიტვირთული სხვა ნაკვეთები. მუნიციპალიტეტთან შეთანხმდა სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული ტერიტორია. |
| 4 | წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, 24.02.32.063.052 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს კერძო საკუთრებას. საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. მე-3 შენიშვნა და გზშ-ის ანგარიშის მე-6 დანართი |
| 5 | დოკუმენტს დართული Shp ფაილი არ შეესაბამება გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ 3.3.3.2.1 სქემას და საჭიროებს დაზუსტებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია.<br>ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების პროექტის ფარგლებში შემუშავებული სქემა |

| | | |
|---|---|---|
| | | (ძველი სქემა) ამოღებულია დოკუმენტიდან. საკანალიზაციო ქსელის დაზუსტებული სქემა იხ. ნახაზზე 3.1.2. |
| 6 | დოკუმენტის 48-54-ე, აგრეთვე 57-ე, 241-ე და სხვა გვერდებზე წარმოდგენილი გენ-გეგმები და ლეგენდები წარმოდგენილია დაბალი რეზოლუციით და არ არის გარჩევადი; | დანართის სახით წარმოგიდგენთ საპროექტო ნახაზების ელ. ვერსიას, რომელიც იძლევა გადიდების საშუალებას. |
| 7 | გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდის განთავსების პირველი ალტერნატივა „წინასწარი შეფასებით მისაღებად ჩაითვალა. საჭიროების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნება შერჩეული ალტერნატივის დამატებითი დასაბუთება". აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია, იხ. გზშ-ის ანგარიშის 4.3 თავი |
| 8 | გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ ზდჩ-ის ნორმების პროექტში არ არის წარმოდგენილი რა გათვლებით იქნა მიღებული ჩამდინარე წყლების რაოდენობა (მ3/სთ, მ3/წელ.); | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის 3.2.5 და ზდჩ ნორმების პროექტის მე-7 თავი. |
| 9 | წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში (გზშ) მითითებული გაფრქვევის წყაროთა რაოდენობა და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები საჭიროებს დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების (ზდგ) პროექტში მოყვანილ მონაცემებთან. ასევე საჭიროებს დაზუსტებას გამოყოფის წყაროთა ზედაპირის ფართობები, რომელთა მონაცემები პროპორციულად აისახება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი გაანგარიშების ნაწილში. აღნიშნული მონაცემები საჭიროებს დაზუსტებას გზშ-ის პროექტში და შესაბამისობაში მოყვანას ზდგ-ის ნორმების დოკუმენტაციაში მითითებულ მონაცემებთან; | ზდგ ნორმები შემუშავებულია მხოლოდ ექსპლუატაციის პერიოდისთვის. გზშ-ს ანგარიშში, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ემისიები შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ზდგ ნორმების პროექტთან. იხ. თავი 7.1.2. |
| 10. | ვინაიდან ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა მდებარეობს ზურმუხტის ქსელის (დაცული ტერიტორია) მიმდებარედ, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საკურორტო და დაცულ ტერიტორიებზე საქმიანობის განხორციელების შემთხვევისთვის მავნე ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის მნიშვნელობა 1,0-ის ნაცვლად უნდა შეიცვალოს 0,8 -ის მნიშვნელობით; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. თავი 7.1.2 და ზდგ ნორმების პროექტი |
| 11 | წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას ფონური დაბინძურების მაჩვენებლები გათვალისწინებული არ არის, თუმცა სს „აჭარის წყლის ალიანსის" მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დაგეგმილია ჩამდინარე წყლების №2 გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა 330 მეტრის დაშორებით, შესაბამისად №1 ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასებისას საჭიროა ზემოაღნიშნული ობიექტის მონაცემები გათვალისწინებული იყოს ფონური მაჩვენებლების სახით; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. თავი 7.1.2 და ზდგ ნორმების პროექტი |

| | | |
|---|---|---|
| 12 | ზდგ-ს პროექტის ცხრილი 1.1.-ში საჭიროებს ობიექტის ფაქტიური მისამართის დაზუსტებას და შესაბამისობაში მოყვანას; | შენიშვნა გათვალისწინებულია.იხ. ზდგ ნორმების პროექტი |
| 13 | გზშ-ის ანგარიშის 3.6 ქვეთავის თანახმად, „შუახევის კლიმატური პირობების გათვალისწინებით სამშენებლო სამუშაოები შესრულება შეუძლებელია 2 წელზე ნაკლებ დროში“, თუმცა, 7.1.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი, ვინაიდან სამუშაოები წარიმართება მაქსიმუმ 1 წელიწადის განმავლობაში“, ასევე, ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული დოკუმენტის მე-4 დანართში, სადაც მითითებულია, რომ „მშენებლობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, ექსპლუატაციაში გაშვება სავარაუდოდ მოხდება არაუადრეს 2 წელიწადისა“. ამასთან, დოკუმენტის 7.1.1.3 ქვეთავში ემისიის გაანგარიშება საგზაო-სამშენებლო მანქანის (ექსკავატორი) მუშაობისას გაანგარიშებულია 200 დღისთვის, ხოლო მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო და ჩამდინარე წყლები გაანგარიშებულია 250 დღისთვის. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს პროექტის განხორციელების ვადები და გრაფიკი; | შენიშვნა გათვალისწინებულია იხ. 7.1.1. თავი |
| 14 | კორექტირებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების რაოდენობრივი ანგარიში და გაბნევის მოდელირების შედეგები, სადაც მითითებულია, რომ გაფრქვევის წყაროა გამწმენდი ნაგებობის ღია ზედაპირი, ხოლო გამოყოფის წყაროებია შემდეგი ელემენტები: მიმღები კამერა (25 მ2), სალექარები (3 x 600 მ2) და სალამე მოედანი (328მ2). ამასთან, 7.1.2.2 ქვეთავში (ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში), წარმოდგენილი ცხრილი არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ გამწმენდს და საჭიროებს შესაბამის კორექტირებას; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. 7.1.2.2 თავი |
| 15 | დოკუმენტში წარმოდგენილ მონაცემები, გზშ-ის ანგარიშს დართულ ზდგ-ის დოკუმენტს არ შეესაბამება და ხელახალ გადაანგარიშებას საჭიროებს გზშ-ის ანგარიშში მოცემული პროექტის განხორციელების ეტაპზე გამწმენდი ნაგებობიდან წარმოქმნილი ემისიების მაჩვენებლები; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. 7.1.2 თავი |
| 16 | გზშ-ის ანგარიშში მითითებულია, რომ დღეისათვის, მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 1077 სულს, საიდანაც 877 დაკავშირებული იქნება N1 გამწმენდთან, ხოლო 200 - N2 გამწმენდთან, დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ 2014 წლიდან მოსახლეობა მუდმივად მცირდება (-1,0% წელიწადში) ხოლო გზშ-ის ანგარიშის 7.1.1.6 და 7.1.2.6 ქვეთავების თანახმად, 2014 წლის აღწერის მიხედვით, შუახევის მოსახლეობა 797 კაცს შეადგენს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს როგორ მოხდა მოსახლეობის საერთო რაოდენობის შეფასება და როგორ იქნა მიღებული ციფრი 1077; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის 7.1.1.6 და 7.1.2.6 თავები |
| 17 | გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ფეკალური ლამის გამწმენდ უბანზე ლამის ტრანსპორტირება განხორციელდება საკანალიზაციო ქსელზე მიერთებული საკანალიზაციო ჭებიდან, რომელთა გასუფთავება მოხდება საშუალოდ თვეში ორჯერ. | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის 7.1.3 და 7.1.4 თავები |

| | | |
|---|---|---|
| | ამასთან, 7.1.3. ქვეთავში აღნიშნულია, რომ საკანალიზაციო ჭების ამოსუფთავება მოხდება იშვიათ შემთხვევებში, ხოლო 7.1.4 ქვეთავის მიხედვით, ქსელის, მათ შორის ჭების, გაწმნედა მოხდება რეგულარულად, შევსებისთანავე. შესაბამისად, დეტალურ დაზუსტებას საჭიროებს საკანალიზაციო ჭების გასუფთავების საკითხი; | |
| 18 | გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე სამუშაოები შესრულდება 07:00 საათიდან 17:30 საათამდე. ამასთან, წარმოდგენილი მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშებების თანახმად, უახლოეს მოსახლესთან აღმოსავლეთით (30 მეტრის დაშორებით) ხმაურის დონე 59 დბა-ს, ხოლო დასავლეთით (60 მეტრის დაშორებით) 57 დბა-ს შეადგენს და მშენებლობის პროცესში, ინტენსიური სამუშაოების ჩატარებისას მოსალოდნელია დღის საათებისთვის დადგენილი ხმაურის ნორმირებულ დონეებზე მცირედით გადაჭარბება. დოკუმენტში ასევე მითითებულია, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, რეგლამენტი არ ვრცელდება დღის საათებში მიმდინარე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებზე. ვინაიდან ზემოაღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ მიხედვით, აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები განსხვავებულია დღის (08:00 სთ-დან 23:00 სთ-მდე) და ღამის (23:00 სთ-დან 08:00 სთ-მდე) პერიოდებისათვის, დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელების გრაფიკი; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. ცხრილი 8.4. |
| 19 | გზშ-ის ანგარიშის ქვეთავში 3.2.8 (წყალმომარაგება და წყალარინება) მითითებულია, რომ „ყოველდღიურად დასაქმებული მომსახურე პერსონალის რაოდენობიდან (დაახლოებით 5) და თითოეულ პერსონალზე დახარჯული წყლის (დაახლოებით 25 ლ 8 სთ-ში) გამომდინარე მოხმარებული წყლის რაოდენობა იქნება: 5 x 8 x 3 = 120 ლ/დღე (ანუ 0,12 მ3/დღე და 44 მ3/წელ).“ ზემოაღნიშნული გაანგარიშება გაუგებარია, ვინაიდან არ არის დაანგარიშებული მოხმარებული წყლის რაოდენობა. გარდა ამისა, N41 სკოპინგის დასკნის შესაბამისად, გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროექტის მოწყობისა და ექსპლუატაციის პერიოდში წყალმომარაგება-წყალარინების საკითხების შესახებ, თუმცა დოკუმენტაციაში არ არის მოცემული მოწყობის/მშენებლობის ეტაპზე სასმელ- სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგების შესახებ ინფორმაცია. შესაბამისად, მოწყობა-ექსპლუატაციის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა. აგრეთვე, დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმებულთა სამუშაო გრაფიკი; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის 3.7 თავი. |
| 20 | გზშ-ის ანგარიშის თანახმად, ანგარიშს თან ერთვის გამყვანი მილსადენის shp ფაილი, თუმცა აღნიშნული Shp ფაილი არ არის წარმოდგენილი; | შენიშვნა გათვალისწინებულია. გამყვანი მილსადენის Shp ფაილი თან ერთვის გზშ-ს |

| | | |
|---|---|---|
| 21 | გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის CW უჯრედებზე გათვალისწინებული მიწისზედა მილსადენების განთავსების და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია; | CW უჯრედებზე არ არის გათვალისწინებული მიწისზედა მილსადენი. |
| 22 | გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ფეკალური ლამის გამწმენდ უბანზე ლამის განთავსების და აღნიშნულ უბანზე ლამის დაშლის აერობული პროცესების შესახებ ინფორმაცია; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის თავი 3.4. |
| 23 | გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, გამწმენდი ნაგებობის განთავსება დაგეგმილია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია, რაც საჭიროებს დაზუსტებას; | მიწის კატეგორიის ცვლილება დაგეგმილია მშენებლობის დაწყებამდე. |
| 24 | დოკუმენტის მე-2 ნაწილში „გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი და დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და ნორმატიული აქტები" წარმოდგენილი ცხრილი საჭიროებს შესაბამის კორექტირებას/განახლებას. ამასთან, დოკუმენტის მე-10 გვერდზე ადამიანთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას; | შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. გზშ-ის ანგარიშის თავი 2 |